[illegible] 11152

გიხაროდენ: აღიარება დაიწყო!

ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

6 მარტი, პარასკევი, 1992 წ.
№ 15 (10672) ფასი 60 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

თბილისი. 1987 წელი. „დინამო" — „ვერდერი".

განიხვნენ ბჭენი

დრო და ისტორია მოწყალებას არ არიგებენ — იმას და მაშინ გარგუნებენ, რასაც და როდესაც იმსახურებ.

როგორც იქნა, განიხვნენ ბჭენი, მოსახდენი მოხდა — ფიფას კარი ჩვენთვისაც გაიღო.

ზოგი არ ჩქარობს, დინებას მიჰყვება, დროის ტალღების მიმოქცევას მინდობია. ზოგჯერ ასეც სჯობს, ზოგჯერ სხვა გზა არც არის.

ქართულმა ფეხბურთმა ამბოხის გზა ირჩია — თავისუფლების ნაპირზე ვინ იცის როდის გარიყვას საკუთარ ძნელ გზასავალზე შედგომა ამჯობინა.

საქმე წინ წავიგდოთ, მომავალი მოვიახლოვოთ, წერდა ერთი ჩვენი კოლეგა, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკავშიროდან გამოყოფა-არგამოყოფასა და ეროვნული ჩემპიონატის გამართვა-არგამართვაზე იყო დიდი ბჭობა-კამათი.

მაშინ სანატრელი მომავალი, დღეს უკვე რეალობაა. რეალობაა დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი, ეროვნული ჩემპიონატი, ეროვნული თასის გათამაშება, ფიფას ჯერჯერობით დროებითი წევრის სტატუსი..

მაგრამ...

რეალობაა ჩვენი დღევანდელი მდგომარეობაც. ის საფიქრალი, სიხარულს რომ გვიმძიმებს. განა ყოველ ჩვენგანს არ უტრიალებს გონებაში შიშნეული კითხვა: რა იქნება წელს, როგორ გავასრულებთ ამ ჩემპიონატს?

თუ გონიერება მართლა სანთლით საძებარი გაგვიხდა საქართველოში, მარტო სპორტი კი არ დაგვრჩება გვერდზე...

მკერდზე მჯილის ცემისა და ცაში ქუდების სროლის პერიოდი გავიარეთ. საქმის დრო დაგვიდგა — საქმე გამოგვაჩენს და ღმერთი განგვსჯის.

თბილისი, 1990 წელი. თბილისელ და პარიზელ სტუდენტ-მორაგბეთა შეხვედრა.

რაგბის საერთაშორისო საბჭო (ირბ)

რაგბის საერთაშორისო საბჭო (ირბ: სრულად „ირფბ" — თამაშის ოფიციალური სახელის „რაგბი ფუთბოლის" გამო) დაარსდა 1886 წელს. საუკუნოვან იუბილემდე, ანუ 1986 წლამდე აერთიანებდა მხოლოდ რვა ქვეყანას. სადღეისოდ საბჭოს 52 წევრი ჰყავს. ოფისი ინგლისის ქალაქ ბრისტოლში მოქმედებს. საბჭო ადგენს თამაშის წესებს, მოყვარულობის კანონებს და ოთხ წელიწადში ერთხელ მართავს მსოფლიო თასის გათამაშებას.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიფა)

შეიქმნა 1904 წელს საფრანგეთში დამფუძნებელი ქვეყნებია: ბელგია, დანია, ნიდერლანდები, შვეიცარია. ფიფა აერთიანებს ხუთივე კონტინენტის ქვეყნებს, სადაც დანერგილია ფეხბურთი და აკმაყოფილებენ ფიფას საწესდებო მოთხოვნებს. ფიფა ატარებს მსოფლიო ჩემპიონატებს და სხვა დიდ საერთაშორისო ტურნირებს.

ორმოცდამეთორმეტე წევრი

ოცნება აუხდათ ქართველ მორაგბეებს. ორნახევარწლიანი მტანჯველი მოლოდინის შემდეგ, მსოფლიო რაგბის ხელისუფალთა მხრივ არაერთგზის პირის გატეხვა და „ცენტრის" ხრიკები რომ ხდევდა თან, მსოფლიოში რაგბის განმგებელმა გაერთიანებამ — რაგბის საერთაშორისო საბჭომ (ირბ) საქართველოს რაგბის კავშირი თავის 52-ე წევრად მიიღო.

ირბ-ისეულ აღიარებას მოუთმენლად ველოდით, მაგრამ მაინც უეცრად მოვიდა. საქმე ისაა, რომ ირბ-ის ალმასკომის სხდომა აპრილში, ახალ ზელანდიაში უნდა გაიმართოს. იქვე 1995 წლის მსოფლიო თასის გათამაშების ფორმულა დადგინდება და შესარჩევი შეჯიბრებებიც დაიგეგმება. მონაწილეობის უფლება მხოლოდ იმ ქვეყნებს ექნებათ, რომლებიც აპრილისათვის ირბ-ის წევრები იქნებიან. ერთი სიტყვით, ქართულ რაგბის უკანასკნელი შანსი რჩებოდა — თუ მასაც ხელიდან გაუშვებდა, კიდევ ოთხ წელიწადს მოუწევდა უმაღლესი დონის საერთაშორისო სარბიელიდან განცალკევებით დგომა.

ჩვენი რაგბის „მამებმა" ეს ყველაფერი კარგად უწყოდნენ, ძალ-ღონესაც არ იშურებდნენ უცხოელ რაგბის მოღვაწეთა დასაყოლიებლად, მაგრამ საბჭოთა კავშირის, როგორც პოლიტიკური ერთეულის, არსებობა ირბ-ის წევრად საქართველოს მიღებას შეუძლებელს ხდიდა.

საბჭოთა კავშირის „დაქცევამ" ირბ-ის ხელი გაუხსნა. მსოფლიო რაგბის მესვეურებმა შეპირება გაიხსენეს და ალმასკომის სხდომამდე თვენახევრით ადრე საქართველოს რაგბის კავშირი საბჭოს წევრად მიიღეს, რითაც ჩვენი ეროვნული ნაკრები მსოფლიო თასის გათამაშების მონაწილეთა სიაშიც ჩაირიცხა.

ეს სასიხარულო ამბავი საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტს თამაზ ანდღულაძეს ამ დღეებში ფაქსით აუწყა ირბ-ის მდივანმა ქის როულენდზმა. მანვე პრესისთვის გამოქვეყნებულ განცხადებაში საგანგებოდ აღნიშნა, რომ საქართველოს დაეკისრა რაგბის გავრცელება კავკასიაში — მსოფლიოს იმ კუთხეში, სარაგბო სამყაროსათვის აქამდე უცნობი რომ იყო.

ვერაფერს იტყვი, მართლაც საპატიო მისიაა, მაგრამ, პირველ ყოვლისა, ჩვენივე თავის მიხედვა გვმართებს, სხვა რომ არა იყოს რა, ჩვენს უპირველეს გუნდს — ეროვნულ ნაკრებს შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის გვარიანი თანხა დასჭირდება. უეჭველია, შარშანდელი მსოფლიო თასის შემოსავლის წილი, როგორც წევრს, ირბ-მა რომ უნდა გვიბოძოს, საქმეს წაადგება, მაგრამ ჩვენი მორაგბეები ოდენ სხვის იმედადაც ვერ იქნებიან. ერთი სიტყვით, სპონსორები თავად უნდა ეძებონ.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესია 25 მარტს ჩატარდება

1992 წლის 25 მარტს მოწვეულია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის III სესია.

სესია გაიხსნება სეოკ-ის რეგიონალური ორგანიზაცია თბილისის ცენტრ ოლიმპოს შენობაში, დ. აღმაშენებლის გამზირი 66 (ყოფილი კიროვის სახ. პარკი).

დასაწყისი 14 საათზე.

სეოკ-ის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

სეოკ-ის აღმასკომი



იქნებ ახალი ფენომენი...

უიღბლობა და, ასეთი?! თითქოს ჯინაზე, ერთ პრობლემას მეორე ემატებოდა. გაწვალდა და განერვიულდა ხალხი. გულარხეინ ტურისტებს აწყევლინებდა თავბედს ასეთი მგზავრობა და ევროპის ჩემპიონატზე მიმავალ ჩვენს მკლავჭიდელებს რა დღეში ჩააგდებდა, თავად წარმოიდგინეთ (იხ. მე-3 გვ.).

ტელექსი ნომერში

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს

მაროკოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ბატონი კამალ სკალი გთავაზობთ, რომ თქვენმა მოჭადრაკეებმა (ერთმა ქალმა და ერთმა ვაჟმა) მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც 6-17 ივლისს ჩატარდება კასაბლანკაში. მონაწილეთა რეიტინგი (ელოს სისტემით) არანაკლებ 2500-ია. ამას გარდა, სპეციალურად თქვენთვის, 5-19 მაისს მოაწყობს ტურნირს, სადაც იწვევს მაია ჩიბურდანიძეს, ნონა გაფრინდაშვილს, ნანა ალექსანდრიას, ნანა იოსელიანს, აგრეთვე, თუ გვყავს ამჟამად მსოფლიო ჩემპიონი გოგოებს შორის და კიდევ ორ მოჭადრაკეს. ყველა ხარჯებს გაიღებს მაროკოს ჭადრაკის ფედერაცია. პრეზიდენტის სურვილია, საქართველოდან ხანგრძლივი დროით მაროკოში სამუშაოდ კონტრაქტით მიიწვიოს ფრანგული ან ინგლისური ენის მცოდნე ერთი მწვრთნელი. და კიდევ, სკალის აინტერესებს, შეუძლია თუ არა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას სტაჟირებაზე მიიღოს მაროკოს ჩემპიონი გოგოებს შორის და კიდევ ორი ბავშვი.

მალე გაცნობებთ სპორტის სხვა სახეობებში შესაძლებელი თანამშრომლობის თაობაზე, რაზეც მიმდინარეობს მოლაპარაკება.

გთხოვთ, თქვენი აზრი გვაცნობოთ სასწრაფოდ.

ნუგზარ ცერცვაძე,
სსრკ-ს მუდმივი წარმომადგენელი მაროკოს სამეფოში.

სამად სამი...

უხვთოვლიანობით გაძნელებულმა მიმოსვლამ ხელი ვერ შეუშალა საქართველოს ასზე მეტ მძლეოსანს, მოეყარა თავი თბილისში, ზამთრის რესპუბლიკურ ჩემპიონატზე. შედეგები, ცხადია, საერთაშორისო სტანდარტებისა არ გახლდათ, მაგრამ რამდენიმე მათგანის გამოყოფა მაინც შეიძლება. გარდაბნელმა იოსებ შავერდაშვილმა უროს ტყორცნაში (62,28 მ), წყალტუბოელებმა მერაბ ყურაშვილმა (16,91 მ) და თბილისელმა ელმირა ურუსოვამ ბირთვის კვრაში (15,92 მ) სპორტის ოსტატის ნორმატივს გადაამეტეს. შეიძლება აღინიშნოს ბადროს მტყორცნელის თბილისელ ნინო ონაშვილის (55,42 მ) და იგორ ივანოვის (60 მეტრზე თარჯრბენში 8,2 წამი) მაჩვენებლები. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „შევარდენის“ მძლეოსნებმა. მათ ოთხი ათასამდე ქულით ჩამოიტოვეს „მართვეს“ ნაკრები.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

რა ღირს ვიზა?

ბულგარეთში, უნგრეთში, პოლონეთში, რუმინეთში, ჩეხეთ-სლოვაკეთში და იუგოსლავიაში ყოფილ საბჭოთა მოქალაქეებს (ტურისტებს) შეუძლიათ ჩავიდნენ ვიზის გარეშე. ევროპის სხვა ქვეყნებში კი ითხოვენ ვიზას, რომლის ღირებულება ყველასთვის ხელმისაწვდომია. მაგალითად, ავსტრიის ვიზა 23 მანეთი ღირს, ბელგიისა — 31-დან 51 მანეთამდე, ესპანეთისა — 38 მანეთი, შვეიცარიისა 29 მანეთი... გერმანელები მხოლოდ სიმბოლურ თანხას — ერთ მანეთს იღებენ თითოეულ ვიზაში. ინგლისელები, დანიელები, ირლანდიელები, იტალიელები, კვიპროსელები, ფინელები და შვედები გაჭირვებული ქვეყნების (იგულისხმება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები) ტურისტებისგან ერთ კაპიკსაც არ იღებენ ვიზის გასაცემად. თურქეთი კი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც თითოეულ ვიზაში ტურისტისგან 10 დოლარს ითხოვს საზღვარზე გადასვლისას.

ჯონდო მარიდაშვილის ფონდი

ჯონდო მარიდაშვილი — ამ ჭაბუკი აკრობატისთვის 1988 წლის თებერვალი და სსრ კავშირის ჩემპიონატი გამოდგა საბედისწერო. მაშინ იგი საბჭოთა ნაკრების წევრი იყო. მოპოვებული ჰქონდა მსოფლიოს პირველობის ვერცხლის მედალი; არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

ჯონდო მარიდაშვილი დღეს ხეიბარია, საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო ყურადღებას არ აკლებს. კარგა ხანია, დღის წესრიგში დგას და თანდათან გვარდება უცხოეთში სამკურნალოდ მისი გამგზავრების საკითხი.

როგორც ადრე გაუწყეთ, მშენბანკის ნაძალადევის მრეწვმშენბანკის განყოფილებაში გაიხსნა ჯონდო მარიდაშვილის დახმარების ფონდის ანგარიში, რომლის ნომერია, 000164301 მფო 521727.

გაწეული საქველმოქმედო დახმარების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ „ლელოს“ რედაქციაში.

სამწუხაროდ, სპორტი თავისებური რისკიცაა და არაერთი შესანიშნავი ათლეტი დაინვალიდებულა უშუალოდ შეჯიბრების ან ვარჯიშის პროცესში მიღებული ტრავმის შედეგად.

რეკორდით ჩებოქსარში

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ხათუნა ქვრივიშვილმა კვლავ გამოიჩინა თავი — ჩებოქსარში გამართულ მშვილდოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე 30 მეტრიდან სროლაში 352 ქულა მოაგროვა და 2 ქულით გააუმჯობესა გოგონათა რესპუბლიკური რეკორდი, რომელიც ნატო ნასარიძეს ეკუთვნოდა. ხათუნას ბარსელონას ოლიმპიადისთვის ამზადებენ მწვრთნელები ალექსანდრე მეძევიძე და გია მაკიევი.

• • •

სურათზე: ხათუნა ქვრივიშვილი.

მოკლედ

● **ბერნი.** მსოფლიოს თასი ბობსლეისტთა ოთხეულებს შორის, მოიპოვა გერმანიის პირველმა გუნდმა, ალბერვილის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორის ვოლფგანგ ჰოპეს მათაურობით.

● **ათენი.** ევროპის ჩემპიონთა თასი ფრენბურთში ვაჟებში მოიპოვა რავენას (იტალია) „მესაჯერომ“. ფინალში მან დაამარცხა საბერძნეთის „ოლიმპიაკოსი“ — 3:0.

● **ერფურტი.** ეს ბეჭდვითი სიტყვის საქმეში, ალბათ, უნიკალური რეკორდი გახლავთ, ახლახან დამთავრდა ალბერვილის თეთრი ოლიმპიადა, მისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაცია კი უკვე მოეწყო. გამომცემლობა „შპორტფერლაგის“ მიერ გამოშვებული წიგნის პირველი ეგზემპლარი მიართვეს ციგურაობაში ოლიმპიურ ჩემპიონებს გუნდე ნიმანსა და ჰაიკე ვერნიკეს.

● **ლახტი.** მსოფლიო თასის აქ გამართულ ეტაპზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვაჟთა ესტაფეტაში 4X10 კილომეტრზე, ნორვეგიის გუნდმა მხოლოდ მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ გათამაშებას საერთო ჯამში დიდი უპირატესობით ლიდერობს — მეორე ადგილზე მყოფ დსთ-ს მოთხილამურეებს 298 ქულით უსწრებს.

● **ტოკიო.** ფრისტაილში მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი მოიგეს პირველმა ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ამ სახეობაში, ფრანგმა ედგარ გროსპირონმა და ამერიკელმა დინა უაინბრეჰტმა.

კონსულტაცია

ოსტეოქონდროზის პროფილაქტიკა

ხერხემლის კისრის ნაწილის ოსტეოქონდროზი ბევრ ტანჯვას აყენებს ჯერ კიდევ შრომისუნარიან მოსახლეობას. კისრის კუნთების დასუსტებისა და ხერხემალსშუა დისკოების ძალზე შემჭიდროების შედეგად მალები ერთმანეთს უახლოვდება და მათი გამონაზარდები ნერვულ დაბოლოებებს ჰულეტენ. ამასთან, საშინელ ტკივილებთან ერთად გვხვდება მხედველობის დაკარგვის შემთხვევებიც.

ხერხემლის კისრის ნაწილის გაჭიმვა ძნელდება მიზიდულობის ძალის ხარჯზე: ასეთ შემთხვევაში ხომ პაციენტი თავქვე უნდა ეკიდოს, რაც წნევიანთათვის მავნებელია. კისრის ოსტეოქონდროზის კარგ სამკურნალო საშუალებად ლერძზე მუხლმოხრით დაკიდებული ბრუნები ითვლება, როდესაც მიზიდულობის ძალის ზემოქმედება ცენტრიდანულ ძალთა ხარჯზე იზრდება. მაგრამ ასეთი ვარჯიშები ძირითადად ხელმისაწვდომია მარდი ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ არ იტანჯებიან ოსტეოქონდროზით.

ცნობილია კისრის ნაწილის გაჭიმვის ხერხები პაციენტის თავით დაკიდების გზით, რაც აგრეთვე იოლია კისრის მკვრივკუნთებიანი ადამიანებისთვის, თუმცა მოგუდვის საშიშროებაც არ არის გამორიცხული.

ამიტომ კისრის კუნთების გასამაგრებლად ყველაზე უფრო პრაქტიკული და ხელმისაწვდომია ფიზიკურ ვარჯიშთა კომპლექსის შესრულება, როდესაც თითოეულ მხარეს თავის დახრას ყოველდღე 100-150-ჯერ ასრულებენ. ეს მოსაწყენიც გახლავთ და დროსაც საკმაოს მოითხოვს.

გირჩევთ რამდენიმე მარტივ მოწყობილობას, რომლებიც თავად შეგიძლიათ გააკეთოთ ხელთ არსებული მასალისაგან და მათი მეშვეობით უფრო ეფექტურად გაიმაგროთ კისრის კუნთები და გაზარდოთ ხერხემალსშუა დისკოების ელასტიურობა. მოწყობილობათა ხმარებამდე აუცილებლად უნდა მიიღოთ მკურნალი ექიმის კონსულტაცია.

პირველ ნახატზე ნაჩვენებია კისრის კუნთების გასამაგრებელი მოწყობილობა: ა — ხედი წინიდან; ბ — ზემოდან.

მოწყობილობა წარმოადგენს დრეკად რგოლისებრ ტვირთს, რომელიც ბაგირებზეა დაკიდებული. რეზინის ამოღრუტული რგოლი ავსებულია სილით და ბრეზენტშია გამოკრული. მისი შიდა პერიმეტრი პაციენტის თავზე დიდია, წონა კი 3-4 კგ.

პაციენტი თავს ყოფს რგოლში და ასრულებს თავის ტრიალს ან თავის დახრებს. ტვირთის საკიდრისა და რგოლის პერიმეტრის წყალობით, რომელიც თავზე დიდია, ძალის ზემოქმედება მასზე ყოველთვის გვერდიდან ხდება, რაც გამორიცხავს ხერხემალზე ზემოდან დაწოლას.

კიდევ უფრო მარტივი მოწყობილობაა ნაჩვენები მეორე ნახატზე. ის შედგება გაბერილი რგოლისაგან, მაგალითად, მსუბუქი ავტომანქანის კამერისაგან, რომელიც თოკზე ვერტიკალურად დაკიდებულია ისე, რომ რგოლის ნახვრეტის ქვედა ნაწილი ნიკაპის დონეზე იმყოფებოდეს.

ეყრდნობიან რა ნიკაპით რგოლს, თავის წინ დახრით აწვებიან მას, ოითაც ხდება კისრის მალების გაჭიმვა, მათში სისხლისა და ლიმფის შეღწევის უზრუნველყოფა.

მესამე ნახატზე მოცემულია კიდევ ერთი მოწყობილობა, რომლის მეშვეობითაც ხდება მალების დაჭიმვა ნიკაპზე დაყრდნობით. იგი შედგება ბრტყელი ფიცრისგან, რომელიც ჰორიზონტალურად არის ჩამოკიდებული ღეროებზე და საყრდენს სახსროვანი შეერთებით უკავშირდება. ფიცრის სიმაგრის წყალობით ძალა არ იკარგება, როგორც გაბერილ კამერაზე, რაც მალების უკეთ დაჭიმვის საშუალებას იძლევა, ხოლო მისი რკალზე მოძრაობა სხვადასხვა სიმაღლის პაციენტებს ნიკაპით საიმედო კონტაქტებს უადვილებს.

თუ ზემოაღწერილი ორი მოწყობილობის ხმარება რატომღაც გაძნელდება, კარებზე შეგიძლიათ მიაჭედოთ თარო საკუთარი ნიკაპის დონეზე, როგორც ეს მეოთხე ნახატზეა ნაჩვენები. ამასთან, მისი სიგანე ისეთი უნდა იყოს, რომ თავის წინ დახრის საშუალება მოგცეთ. უმჯობესია თარო ელასტიური ნაჭრის ფენით დაფაროთ.

მეხუთე ნახატზე კისრის კუნთების გასამაგრებელი ამორტიზატორია გამოსახული. ის შედგება თავის გარშემო დამაგრებული შემოსაკრავისაგან და საყრდენთან შეერთებულია რეზინის ჩალიჩით. თავსაკრავიანად ბრუნებისას თავის დახრებს ასრულებენ სხვადასხვა მხარეს, ჭიმავენ ამორტიზატორს, რაც კუნთოვანი მასის სწრაფად ზრდის საშუალებას იძლევა, ვიდრე თავის ტრიალი წინააღმდეგობის გადაულახავად.

მეექვსე ნახატზე ილუსტრირებულია მასაჟორი ხერხემლის კისრის ნაწილისათვის. ის შედგება დრეკადი წვრილი სპირალური ზამბარისაგან, რომელიც ხის სახელურებით ბოლოვდება.

ასეთი მასაჟორით მოხერხებულია ხერხემლის კისრის ნაწილის დაზელა. ხვიების მცირე ფართის წყალობით ზამბარები ღრმად აღწევენ ქსოვილებში, ამასთან, დრეკადი ხვიები კიდეც ვიბრირებენ, რაც ხერხემალზე დაგროვილი მარილების დაშლის ეფექტურობას ზრდის.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ხერხემლის მდგომარეობის გაუმჯობესება არტერიულ წნევას აწონასწორებს, ამიტომ ჰიპერტონიით დაავადებულებს ურჩევენ მეტი ყურადღება მიაქციონ ხერხემლის განტვირთვასა და მასაჟს.

ვ. ბერასიმენკო,
ყაზახეთის დამსახურებული მწვრთნელი.

(ჟურნალი „ფიზიკური კულტურის თეორია და პრაქტიკა“, 1991 წ. № 11).



ა

ბ ნახ. 1



ნახ. 2



ნახ. 3



ნახ. 4



ნახ. 5



ნახ. 6

მძლავით ევროპის მძლეველნი

ჯერ ბარსელონის ავიაბილეთები ვერ იშოვეს და მადრიდისა აიღეს, ასე რომ, მასპინძლების დახვედრაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მთელი ღღე, 21 თებერვალი, თვითმფრინავში გაატარეს, ესპანეთის დედაქალაქში ღამის თორმეტ საათზე ჩაფრინდნენ. გამთენიისას სპორტსმენთა აწონვა იყო დანიშნული. სასწრაფოდ ორი ტაქსი დაიქირავეს და ჩემპიონატის მასპინძელი ქალაქისკენ, ბარსელონის „მეზობელ" სალოუსკენ დაადგნენ 650-კილომეტრიან გზას. შუა გზაში ერთი მანქანა გაფუჭდა — დიდი ბოდიში, მაგრამ ამას არაფერი ეშველებაო, განაცხადა მძღოლმა, ამათ ჩავიყვან, მოვტრიალდები და თქვენ მოგხედავთო, დაამშვიდა ცხრაკაციანი დელეგაციის უიღბლო ნაწილი მეორემ. სხვა გზა არ იყო — რამდენიმეს გზაში დაათენდა მანქანის მოლოდინში. კიდევ კარგი, აწონვა გადაიდო და ძლივსღა ჩაუსწრეს ამ აუცილებელ „ცერემონიალს". ამას ისიც დაერთო, რომ შეჯიბრების დაწყება სამჯერ გადაიდო, როგორც იქნა, საღამოს 5 საათზე დაიწყო და... აქ მართლაც უცნაური რამ მოხდა — ესპანეთის მკლავჭიდის ფედერაციას დარბაზის პატრონებისთვის მეორე დღის ქირა არ გადაეხადა და მათაც კატეგორიულად მოითხოვეს, ერთ დღეში მოათავეთ ყველაფერიო. ერთი სიტყვით, შეჯიბრებამ დილის 6 საათამდე გასტანა და სხვები, ნორმალურად ნამგზავრები, კარგად შენაყრებულნი და დასვენებულნი, რომ ფეხზე ველარ იდგნენ, ჩვენები რა შესახედავები იქნებოდნენ, ამას რა ახსნა სჭირდება.

ქართველი მკლავჭიდელების შეხედვისა და მათთან გამოლაპარაკების მსურველი, რაღა თქმა უნდა, ბევრი გამოჩნდა. გამოჩნდა იმიტომ, რომ ყველა გააკვირვეს და აღაფრთოვანეს: შემადგენლობით უძლიერეს ჩემპიონატში ჩვენებმა 6 სპორტსმენით იასპარეზეს და ექვსივემ ოქროს მედალი მოიპოვა.

● მკლავჭიდელთა ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული თასები.
● ასეთია ჩემპიონის მედალი.

ლ. სალლიანი

გ. ბეწუაშვილი

ჯ. მერაბიშვილი

კ. თოდაძე

ე. გურჩიანი

ზ. ცხადაძე

ზაურ ცხადაძემ (+110 კგ) და ერეკლე გურჩიანმა (90), ფაქტობრივად, „გაისეირნეს" — თავის აუტკივებლად, უფრო სწორად, ძარღვების დაუწყვეტლად აჯობეს კონკურენტებს. დანარჩენებმა კი, სხვას ვერაფერს იტყვი, მართლაც „თავს გადაამეტეს" — ლერი სალლიანს (70), გელა ბეწუაშვილს (75), ჯიმი მერაბიშვილს (80) და კობა თოდაძეს (85) უძნელესი ბრძოლები გადახდათ.

ასეთ გუნდს, ცხადია, ბადალი არ ეყოლებოდა ევროპის ამ, რიგით მეორე ჩემპიონატზე დგომელა მკლავჭიდში და აკი გუნდური თასიც „გამოაყოლეს ხელს". შედარებისთვის: ესპანელებმა ორ წონაში იმარჯვეს (55 და 60), შვეიცარიელებმა, გერმანელებმა და რუსებმა — თითო-თითოში (შესაბამისად, 65, 110, 100). ერთი სიტყვით, სხვებს წარმატების შანსი გაუჩნდათ მხოლოდ იქ, სადაც ქართველი მკლავჭიდელები არ გამოდიოდნენ. ფინანსურ პრობლემებს რა ვუთხრათ, ესპანეთში გასაგზავნი გუნდის შემადგენლობა რომ „შეკვეცა", თორემ უცხოელებს, ალბათ, ეს შანსებიც შეუმცირდებოდათ.

ყოველივე, რაც გაუწყეთ, საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტმა, ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვახტანგ მუსელიანმა და ფედერაციის გენერალურმა მდივანმა და ფედერაციის მთავარმა მსაჯმა ირაკლი შაიშმელაშვილმა გვიამბეს (სხვათა შორის, ირაკლი შაიშმელაშვილს ამ ჩემპიონატზე ყველაზე მეტი შერკინების მსაჯობა მოუხდა). ისიც თქვეს: დიდი უმადურება იქნება ჩვენი მხრიდან, ულრმესი მადლობა არ გადავუხადოთ ბატონ თენგიზ სიგუას, ბატონ კახი ასათიანს და ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელს ბატონ გივი მაისურაძეს. ამ ადამიანების დახმარება და ხელშეწყობა რომ არა... რა თქმა უნდა, დიდად ვემადლიერებით ჩვენს სპონსორებსაც — ფირმა „რესპუბლიკას" და კავკასიურ ბირჟას.

საუბრის დასასრულს სტუმრებმა ესეც გვაცნობეს: საქართველოში მკლავჭიდელთა ევროპის 1993 წლის ჩემპიონატის გამართვა ჯერ კიდევ ნორვეგიაში, წინა ჩემპიონატის დღეებში გადაწყდა. სალოუში, მკლავჭიდის მსოფლიო ფედერაციის (ვაფ) კონგრესზე, დაზუსტდა ამ გადაწყვეტილების დეტალები და ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ევროპის ჩემპიონატს გაისად, მაისში, თბილისი უმასპინძლებს. მანამდე, წლეულს, მაისშივე, საქართველოს ღია ჩემპიონატს დაესწრება ვაფ-ის პრეზიდენტი, ინდოელი ბარიჯ ბარან დასი.

გადაიდო...

საქართველოს ფეხბურთელთა მესამე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე დაიწყება არა 5 მარტს, არამედ 11 დღის დაგვიანებით — 16 მარტს, უჩვეულოდ მკაცრი ზამთრის გამო — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ.

თასზე...

გაიმართა საქართველოს თასის გათამაშების განმეორებით მერვედფინალური მატჩები: „ქუთაისი" — ჭიათურის „მაღაროელი" 2:0, ოჩამჩირის „ამირანი" — „სამტრედია" 3:2, ბოლნისის „სიონი" — ყვარლის „დურუჯი" 4:0, ზესტაფონის „მარგვეთი" — სოხუმის „ცხუმი". 11-მეტრიანი დარტყმებით გაიმარჯვა „ცხუმმა" — 4:3.

დღეისათვის ცნობილია 6 მეოთხედფინალისტი: თბილისის „ივერია", ზუგდიდის „ოდიში", „ქუთაისი", „ამირანი", „სიონი", და „ცხუმი".

კიდევ ორ მეოთხედფინალისტს დაასახელებს გალის „მზიური" — ლანჩხუთის „გურიას", აგრეთვე, „ბათუმისა" და ხობის „კოლხეთის" შეხვედრები.

• • •

● **მაროკო.** ეგვიპტისა და განის გუნდების შემდეგ გამოვლინდა ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ფინალური საფეხბურთო ტურნირის კიდევ ერთი მონაწილე აფრიკიდან. ამ საგზურისთვის იბრძოდნენ მაროკოსა და კამერუნის გუნდები. მაროკოელებმა კამერუნში ფრეს მიაღწიეს, შინ კი ანგარიშით 2:0 დაამარცხეს მეტოქე და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის მონაწილენი

შოტლანდია

თქმა იმისა, რომ შოტლანდიის ნაკრები ციდან ვარსკვლავებს წყვეტსო, ძნელია, მაგრამ ნამდვილი „კერკეტი კაკალი" რომ გახლავთ, ეს ცხადია.

რამდენიმე ცნობა ქვეყნისა და მისი საფეხბურთო ფედერაციის შესახებ: შოტლანდიის ტერიტორია 78.773 კვადრატულ კილომეტრია, მოსახლეობა — 5 მილიონ 200 ათასი (1990 წ.), ყოველ 37 მცხოვრებზე ერთი ფეხბურთელი მოდის. ფეხბურთის ფედერაცია („სქოთიშ ფუტბოლ ფედერეიშნ") 1873 წელს ჩამოყალიბდა, ფიფას წევრი 1910 წელს გახდა. შემდეგ ამ ორგანიზაციის დატოვება ორჯერ მოუხდა და საბოლოოდ 1946 წელს აღადგინეს. უეფას წევრია 1954 წლიდან. პირველობა შემოდგომა-გაზაფხულის სისტემით იმართება. ქვეყანაში 5500 კლუბია, 4000 — პროფესიონალი ფეხბურთელი, 57 ათასი — მოყვარული (ჭაბუკებსა და ბავშვებს თუ არ ჩავთვლით).

შოტლანდიის ნაკრები მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების არაერთგზის მონაწილეა. მსოფლიო ჩემპიონატებში 1950 წლიდან ჩაება. 1958, 1974, 1978, 1982, 1986 და 1990 წლებში ფინალურ ჯგუფში თამაშობდა, მაგრამ მეტის მიღწევა ვერ შეძლო. ევროპის ჩემპიონატებში 1966 წლიდან გამოდის, მაგრამ ფინალში ვერც ერთხელ ვერ გავიდა. ყველაზე ახლოს ამ მიზანთან 1968 წელს იყო, როცა შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა. სულ ამ წინასწარ შეჯიბრებებში შოტლანდიელებმა 48 მატჩი გამართეს, 19 მოიგეს, 14 ფრედ დაასრულეს და 15 წააგეს; ბურთების სხვაობაა 66-56. ყველაზე დიდი ანგარიშით (4:0 ნორვეგიელებთან, ოსლოში) 1978 წლის 7 ივნისს გაიმარჯვეს, ყველაზე მძიმე მარცხი (1:4 ბრიუსელში, ბელგიელებთან) 1967 წლის 1 აპრილს იგემეს. ცნობილმა შოტლანდიელმა ფეხბურთელმა კენეტ დალგლიშმა 1971-1986 წლებში ევროპის პირველობებზე თავის თანამემამულეთა შორის ყველაზე მეტჯერ ითამაშა (21) და ყველაზე უფრო შედეგიანიც (7 გოლი) იყო.

შოტლანდიელები ევროპის პირველობის მეორე შესარჩევ ჯგუფში მოხვდნენ, სადაც შვეიცარიის, რუმინეთის, ბულგარეთისა და სან-მარინოს ნაკრებები გამოდიოდნენ. რა თქმა უნდა, ეს არ იყო ძლიერი ჯგუფი, მაგრამ წინასწარ უპირატესობას შოტლანდიელებს მაინც არავინ ანიჭებდა. საბოლოოდ მათთვის ყველაფერი მაინც კეთილად დამთავრდა, რაშიც გადამწყვეტი როლი ორმა ფაქტორმა ითამაშა: პირველი ის გახლდათ, რომ შოტლანდიელებმა შეძლეს 3 ქულის (2:1, 2:2) მოპოვება შვეიცარიელებთან და გზიდან ჩამოიცილეს ისინი, მათ უშუალო მეტოქეებს — რუმინელებს კი ბულგარელებმა 3 ქულა დააკარგვინეს (3:0, 1:1). ბრძოლის დიდ სიმწვავეზე ისიც მიგვანიშნებს, რომ ჯგუფის 5 მონაწილიდან 4 ფინალში გასვლისთვის იბრძოდა. შოტლანდიელებმა 8 თამაშში 11 ქულა მოაგროვეს, შვეიცარიელებმა და რუმინელებმა — 10-10., ბულგარელებმა — 9. სან-მარინოს გუნდმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა შეხვედრა წააგო.

შარშან შოტლანდიელებმა 6 საერთაშორისო მატჩი გამართეს, ამასთან, საბჭოთა ნაკრებთან შეხვედრის გარდა, ყველა დანარჩენი ევროპის პირველობის შესარჩევ ჯგუფში. აი მათი შედეგები: საბჭოთა ნაკრებთან — 0:1, ბულგარეთთან — 1:1, სან-მარინოსთან — 2:0, 4:0, შვეიცარიელებთან — 2:2 და რუმინელებთან — 0:1. პოპულარულმა ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა" თავისი ტრადიციული გამოკითხვის შედეგად შოტლანდიელებს ევროპაში მხოლოდ 21-23-ე ადგილები მიაკუთვნა ისლანდიელებსა და ნორვეგიელებთან ერთად, თუმცა, უნდა ვიფიქროთ, შოტლანდიელებს ეს მაინცდამაინც არ აღელვებთ — მათ მთავარ მიზანს მიაღწიეს, პირველად გავიდნენ ევროპის ჩემპიონატის ფინალში.

1986 წლიდან მოყოლებული გუნდს ენდი როქსბურგი წვრთნის. საინტერესოა, რომ საკლუბო გუნდთან მას არასდროს უმუშავია, ყურადღება კი პირველად მაშინ მიიპყრო, როცა შოტლანდიის ჭაბუკთა ნაკრები (18 წლამდე) ევროპის ჩემპიონი გახდა. სპეციალისტების აზრით, შოტლანდიელები მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში ურიგოდ არ გამოიყურებოდნენ, ამას დაემატა ახლანდელი წარმატებაც და, გასაგებია, მწვრთნელის (უწინ მას ხშირად აკრიტიკებდნენ) ავტორიტეტიც ფრიად განმტკიცდა. როქსბურგი ყოველთვის დიდი სიფრთხილით გამოირჩეოდა და ახლაც აცხადებს, რომ ნაკრების შვეციაში გამგზავრებამდე რთული პრობლემების გადაწყვეტა მოუწევს. ამასთან, მწვრთნელი, როგორც წესი და რიგია, ოპტიმისტურადაც არის განწყობილი. როცა ცნობილი გახდა წილისყრის შედეგები, მან განაცხადა, რომ გუნდი ნახევარფინალში გავა, სადაც ინგლისელებს (თავიანთ ისტორიულ მტერ-მოყვარეებს!) შეხვდება. რა თქმა უნდა, ის ჯგუფი, სადაც შოტლანდიელები მოხვდნენ (გერმანია, ჰოლანდია, დსთ), მეტად ძლიერია, მაგრამ მწვრთნელის აზრით, მის გუნდს თავისი „კოზირებიც" აქვს.

მსოფლიო პირველობის შემდგომ პერიოდში შოტლანდიის ნაკრებში გარკვეული ცვლილებები მოხდა. ცნობილმა მეკარემ ჯეიმს ლეიგტონმა ასაკის გამო დატოვა ნაკრები და იგი ენდი გორამმა („გლაზგო რეინჯერსი") შეცვალა. გორამი ამჟამად თითქმის უცვლელად თამაშობს. დაცვაში გამოირჩევა დეივიდ მაკფერსონი, ფიზიკურად კარგად მომზადებული, შეუპოვარი მებრძოლი, ედინბურგის „ჰართის" მოთამაშე. შუა ხაზში გამოყოფენ სტიუარტ მაკკოლის („ევერტონი") და ჯონ რობერტსონს („ჰართი"). ინგლისის კლუბ „ლიდს იუნაიტედში" გამოდის ნაკრების ყველაზე გამოცდილი მოთამაშე გორდონ სტრაჩანი, რომელიც უკვე 35 წლისაა, მაგრამ ჯერ არ აპირებს ფეხბურთის მიტოვებას. ექსპერტების აზრით, სტრაჩანი ევროპის პირველობაზე ერთხელ კიდევ გამოიჩენს თავს. წინა ხაზში თითქმის უცვლელად თამაშობენ ალისტერ მაკკოისტი („გლაზგო რეინჯერსი"), რომელმაც შესარჩევ მატჩებში 4 გოლი გაიტანა და გორდონ დიური (ლონდონის „ჩელსიდან" გადავიდა „ტოტენჰემ ჰოტსპურში", 3 გოლი შესარჩევ თამაშებში). მაკკოისტი კარგა ხანია ნაკრების მთავარი სნაიპერია, დიური კი დიდი სისწრაფით გამოირჩევა. მსოფლიო ჩემპიონატში შოტლანდიის ნაკრებში დიდ როლს თამაშობდნენ ჰარი გილესპი („ლივერპული") და მორის ჯონსტონი („გლაზგო რეინჯერსი"), მაგრამ როქსბურგს მიაჩნია, რომ მათი ოსტატობის დონე დაქვეითდა და საეჭვოა ეს ორი ვეტერანი შვეციაში გაემგზავროს.

შოტლანდიის ნაკრების ხელმძღვანელობას დიდ სიძნელეს უქმნის ის გარემოება, რომ მოთამაშეთა ნაწილი ინგლისისა და გერმანიის კლუბებში გამოდის. ევროპის პირველობისთვის მზადებას შოტლანდიელები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში აპირებენ.

ზივი ბაჟრაკელი

ლიდერით და ულიდეროდ

ნიუ-იორკი. პროფესიული კალათბურთის პოპულარული კლუბის — „ბოსტონ სელტიქსის" აღიარებულმა ლიდერმა ლარი ბირდმა 30 დეკემბერს მიიღო ტრავმა და თითქმის ორი თვის განმავლობაში არ გამოსულა სათამაშოდ. ამის მიუხედავად, მისმა კლუბმა არ დაკარგა მოწინავე პოზიცია და დღესაც, ატლანტის დივიზიონში მტკიცედ ინარჩუნებს მეორე ადგილს. ბოსტონელებმა 58 შეხვედრიდან 32 თავის სასარგებლოდ დაამთავრეს.

ლიდერთა სამეულები კი დივიზიონებში ასე გამოიყურება:

ატლანტის დივიზიონი

	მ.	წ.	%
„ნიუ-იორკი"	35	23	603
„ბოსტონი"	32	26	552
„მაიამი"	27	31	466

ცენტრალური დივიზიონი

	მ.	წ.	%
„ჩიკაგო"	48	11	814
„კლივლენდი"	37	19	661
„დეტროიტი"	33	25	569

შუა დასავლეთის დივიზიონი

	მ.	წ.	%
„იუტა ჯაზი"	38	21	644
„სან-ანტონიო"	34	23	596
„ჰიუსტონი"	31	27	534

წყნარი ოკეანის დივიზიონი

	მ.	წ.	%
„გოლდენ სტეიტი"	38	17	691
„პორტლენდი"	39	18	684
„ფენიქსი"	37	22	627

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცს

ქართული ფეხბურთის ძველ და ახალ ოსტატებს!

გახსოვთ 1990 წლის 30 აპრილი?... გადაჭედილი ეროვნული სტადიონი... მილიონობით ტელემაყურებელი... დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, სიხარულის ცრემლებით სავსე თვალებით შეჰყურებდა თავისუფალი საქართველოს დროშას, რომელიც ანძაზე აღმართეს 12-13 წლის ბიჭუნებმა (ქართული ფეხბურთის სიმბოლურმა მომავალმა), დემოკრატიული საქართველოს ჰიმნის „დიდების" ჰანგზე.

გემახსოვრებათ რასაკვირველია... გემახსოვრებათ, რადგან სწორედ იმ დღეს, საბჭოურ პერიოდში გადადგმული ეს ჯიქური ნაბიჯი (ბევრმა რომ ნაადრევად ჩათვალა) გახდა დღევანდელი გზის დასაწყისი საერთაშორისო არენაზე ქართული ფეხბურთის გასვლისა.. თავისუფალი საქართველოს დროშით და ჰიმნით!

რატომ გაგახსენეთ ყოველივე ეს?

ხომ გაგიგიათ, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო... ჰოდა, იქნება თქვენი მომავალი გამარჯვებები იქცეს იმ ძალად, რომელიც კვლავ სიხარულის ცრემლით გააერთიანებს სრულიად საქართველოს, ჩვენს ერს...

ღმერთმა ინებოს!..

ლერი პაქსაშვილი,
პირველი ეროვნული ჩემპიონატის საზეიმო გახსნის რეჟისორი.
1.III.92 წ.

შოთა ჩიკვაიძე

ქართული ჭიდაობის მოყვარულთა მრავალათასიანმა არმიამ მძიმე და გულდასაწყვეტი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, თბილისის 1958 წლის ფალავანი, ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, გამოცდილი არბიტრი, სპორტის ოსტატი შოთა ალექსანდრეს ძე ჩიკვაიძე.

დაიბადა 1927 წლის 5 მარტს სოფელ წინანდალში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სწორედ აქ ჩამოყალიბდა როგორც მოჭიდავე და ეროვნული სპორტის მცოდნე. უნივერსიტეტში სწავლების პერიოდი აღსანიშნავი იყო იმითაც, რომ შოთა ჩიკვაიძეს ფართოდ გაუხსნა გზა პედაგოგიური საქმიანობისაკენ. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ერთხანს სენაკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მოღვაწეობდა და როგორც ჭიდაობის ენთუზიასტი ახალგაზრდებსაც ავარჯიშებდა. სპორტისთვის თავი არ დაუნებებია სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოზე ყოფნის პერიოდშიც. უფრო მეტიც, აქტიურად იბრძოდა ქართული ჭიდაობის პროპაგანდისთვის, აწყობდა სხვადასხვა ტურნირებს და თვითონვე უძღვებოდა მათ უნაკლოდ ჩატარებას.

ჩვენ ხშირად ვამბობთ, ეროვნული სპორტის სიძლიერეს მნიშვნელოვანწილად მისი ქომაგების უსაზღვრო სიყვარული, ზრუნვა და ყურადღება განსაზღვრავსო. შოთა ჩიკვაიძე სწორედ ასეთი ტიპის მოღვაწე გახლდათ. ამიტომაც ვამბობთ, ქართულმა ჭიდაობამ ჭეშმარიტი რაინდი და მეინახე დაკარგა.

ქართული ჭიდაობის ფედერაცია

საჭადრაკო კალეიდოსკოპი

64 უჯრაზე

მოხდა ისე, რომ 4 დიდოსტატს: გარი კასპაროვს, ალექსანდრე ბელიავსკის, ბორის გელფანდსა და არტურ იუსუპოვს ესპანეთის ქალაქ ლინარესის საერთაშორისო ასპარეზობის ექვსი ტურის მერე 3,5-3,5 ქულა დაუგროვდათ, ოღონდ პირველ სამეულს თითო პარტიაც ჰქონდათ გადადებული. გადადებული პარტიების დამთავრებისას კასპაროვმა სძლია გელფანდს და ერთპიროვნული ლიდერი გახდა. მხოლოდ ერთი დღით, რადგან მეშვიდე ტურში იგი დაუზავდა ევგენი ბარეევს, ანატოლი კარპოვმა და ბელიავსკიმ კი დაამარცხეს ვალერი სალოვი და გელფანდი. 7 ტურის მერე ამ სამეულს 5-5 ქულა ჰქონდათ.

მოსკოვში, საჭადრაკო კლუბისა და სპორტული ორგანიზაციების საერთაშორისო კონფედერაციის ინიციატივით ტარდება უჩვეულო საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობენ მხოლოდ... ჟურნალისტები. მთავარი ჯილდოსათვის მებრძოლთა შორის არიან დიდოსტატები, ოსტატები, ოსტატობის კანდიდატები, შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით 9 ტურად ეწყობა. 3 ტურის მერე სწორედ ოსტატობის კანდიდატი დაწინაურდა — იტარ-საკდესის თანამშრომელი ამირ ვალიტოვი.

კამსკი გადაიბირეს

ფერნანდო არაბალი, ცნობილი ესპანელი დრამატურგი, კარგა ხანია პარიზში ცხოვრობს. წერს არა მარტო ესპანურ, არამედ ფრანგულ ენაზეც. არაბალი, რომლის „წერილებმა ფრანკოსადმი" თავის დროზე დიდი ყურადღება მიიპყრო, ჭადრაკის ფანატიკოსი გულშემატკივარია და ესწრება ყველა მატჩს მსოფლიო პირველობაზე. დრამატურგს საფრანგეთის ეროვნული ოსტატის წოდებაც აქვს, მონაწილეობს პარიზში გამართულ შეჯიბრებებში.

არაბალმა 2 მილიონი ფრანკი გამოყო გატა კამსკის მოსამზადებლად 1996 წლის მსოფლიო პირველობისათვის... ახალგაზრდა დიდოსტატთან უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის ძალითაც კამსკიმ საფრანგეთის მოქალაქეობა უნდა მიიღოს და საერთაშორისო შეჯიბრებებში ამ ქვეყნის სახელით ითამაშოს. ადრე არაბალს ქოველ ლოტიეს იმედი ჰქონდა, მაგრამ ახლა მიიჩნევს, რომ კამსკის მეტი შესაძლებლობა აქვს მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლაში.

„ჭადრაკში მთავარია... შეცდომა!"

ასეთი კურიოზული განცხადება გააკეთა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტმა ნაიჯელ შორტმა, რომელიც, როგორც ყველა ინგლისელი, ძალიან აფასებს იუმორს.

— ჭადრაკში მთავარი შეცდომა გახლავთ. საკუთარ შეცდომებზე ბევრის სწავლა შეიძლება, მეტოქეთა შეცდომების გამოყენებით კი მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებაც...

კაპაბლანკა... ინგლისის პარლამენტში

1919 წლის მიწურულს ლონდონში საკმაოდ თავისებური საჭადრაკო შეჯიბრება გაიმართა — ხოსე რაულ კაპაბლანკა ერთდროული თამაშის სეანსში შეხვდა ინგლისის პარლამენტის წევრებს. ასპარეზობის შემდეგ კუბელმა დიდოსტატმა, რომელიც ორი წლის მერე მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ასე დაახასიათა მოწინააღმდეგეები. „ღრმა სტრატეგიული ჩანაფიქრი არც ერთ მათგანს არ ჰქონია, თუმცა, ტაქტიკური თვალსაზრისით, საკმაოდ „გონებამახვილურად" თამაშობენ — ზოგი ცდილობდა ზედმეტი სვლა გაეკეთებინა, ზოგი აყვანილ ფიგურას დაფაზე აბრუნებდა იმ იმედით, რომ ვერ შევამჩნევდი, ზოგი კი თვითნებურად ცვლიდა ფიგურების განლაგებას... მე, იმ ამომრჩეველთა ადგილას, რომლებმაც ეს ჯენტლმენები პარლამენტში გააგზავნეს, მათ სისტემატური მეთვალყურეობის ქვეშ ვამყოფებდი"...

თბილისი. ჭადრაკის სასახლე. მიმდინარეობს დედაქალაქის ტრადიციული პირველობა. ხ. ნიკოლაძის (მარცხნივ) და მ. ხორავას შეხვედრა.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო, გაზეთ „ლელოს" და ჟურნალ „მართვეს" რედაქციები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს განათლების ყოფილი მინისტრი, პროფესორი

ოთარ დანიელის ძე ქინქლაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ვეტერანი კალათბურთელები სამძიმარს უცხადებენ რევაზ გოგელიას დედის

ანა იასონის ასულ ჟორჟენაძე-გოგელიას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია თანაუგრძნობენ ბიჭიკო ქორქიას მეუღლისა და გიორგი ქორქიას დედის

ცისანა ნიკოლოზის ასულ ლოლაძე-ქორქიას

გარდაცვალების გამო.

თურქეთის რესპუბლიკაში მიმავალ მგზავრთა საყურადღებოდ!

ქ. თბილისში გაიხსნა აჭარის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს სპორტულ-კომერციული ფირმა „რაინდის" თბილისის ფილიალი, რომელიც შეღავათიან ფასებში კომფორტულ „იკარუსის" მარკის ავტობუსებით გადაიყვანს მგზავრებს თურქეთის რესპუბლიკაში მარშრუტით:

თბილისი-რიზე-ტრაპიზონი-თბილისი.

თბილისი-ფაცა-სამსუნი-თბილისი

თბილისი-ტრაპიზონი-სტამბული-თბილისი

ფირმა მოემსახურება სპორტულ დელეგაციებს, ტურისტულ ჯგუფებს და კერძო ვიზით მიწვეულ პირებს. მგზავრებს მოემსახურება კეთილმოწყობილი სასტუმროები, როგორც ქ. ბათუმში, ისე თურქეთის ტერიტორიაზე. დაწვრილებითი ცნობებისათვის გთხოვთ მოგვმართოთ.

მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზირი 95, სპორტული კომპლექსი „განთიადი" (მეტრო მარჯანიშვილი) ფირმა „რაინდი".

ტელეფონები: 95-36-01, 95-63-78, 95-98-01.

ექვსი, ხუთი, კიდევ ხუთი...

მართლაც წარმატებული ეთქმის საქართველოს მოჭიდავეების გამოსვლას ორ საერთაშორისო ტურნირში, რომლებიც ისრაელის ქალაქ ბე-ერშევაში გაიმართა. მათ 6 ოქროს, 5 ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს.

ტურნირი მიეძღვნა მიუნხენის ოლიმპიური თამაშების დროს ექსტრემისტთა ხელით ისრაელის სპორტსმენთა დაღუპვის 20 წლისთავს, ამგვარი შეჯიბრებანი კი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა. ამჯერად, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საასპარეზოდ შეიკრიბნენ ბულგარეთის, გერმანიის, მოლდოვას, ჰოლანდიის, რუსეთის, რუმინეთის, ისრაელის, საქართველოს, ყირგიზეთისა და შვეციის წარმომადგენლები. ჩვენმა სპორტსმენებმა გუნდური პირველობა დაისაკუთრეს, პირადში კი თავი გამოიჩინეს ბათუმელმა ჯუმბერ ფუტკარაძემ (52 კგ), ქუთაისელმა გოჩა ჯინჭველაშვილმა (74), თბილისელებმა — გოჩა ციციაშვილმა (82) და ზაურ ივანიშვილმა (100). მეორე ადგილზე გავიდნენ: ოზურგეთელი ალექსანდრე ბოლქვაძე (57), მარტყოფელი კობა გულიაშვილი (62), და თბილისელი ბეგი დარჩია (90). ჩოხატაურელ ხვიჩა ქორიძეს ზემძიმე წონაში მესამე ადგილი ხვდა წილად.

პარალელურად ჩატარდა ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ჩვენი რესპუბლიკიდან უძლიერესის ტიტული მოიპოვეს გორელებმა — დავით პოღოსიანმა (57) და ზაზა ზოზიროვმა, (68), რომელმაც ფინალში ხვიჩა საბაშვილს სძლია. საბაშვილის გარდა, მეორენი იყვნენ ჯონდო მოდოსიანი (82), ყვარლელი ზურაბ კონიაშვილი (48) და თბილისელი ზურაბ ტატუაშვილი (57).

საქართველოს ნაკრები ამჯერადაც პირველი იყო გუნდურ ჩათვლაში.

მარადონა ახალ ამპლუაში

გასულ შაბათს, დიეგო მარადონამ არგენტინის ნაკრებში თამაშის თხუთმეტი წლისთავი იზეიმა. ეროვნულ ნაკრებში იგი პირველად 1977 წლის 27 თებერვალს მოხვდა. 16 წლის ჭაბუკი შეიყვანეს უნგრეთის გუნდთან ამხანაგურ მატჩში, როცა ანგარიში იყო 5:0. რამდენიმე დღით ადრე კი გაზეთმა „კრონიკამ" აღნიშნა: სათადარიგოთა სკამზე გამოჩნდა ოქროს ბიჭი — დიეგო მარადონაო.

ამას წინათ, მარადონამ ხელი მოაწერა კონტრაქტს არგენტინის ტელევიზიის ერთ-ერთ არხთან — „ტელეფესტონ" თანამშრომლობაზე. როგორც ამბობენ, იგი ახალ ამპლუასაც საკმაოდ კარგად ართმევს თავს. ყოველ შემთხვევაში, ტელეკომენტატორის გამოცდები ექსპერტებმა ბრწყინვალედ ჩააბარა.

რაც შეეხება მის საფეხბურთო კარიერას, აქ ჯერ ბევრი რამაა გაურკვეველი. კონტრაქტის ვადა იტალიის „ნაპოლისთან", როგორც ცნობილია, 1993 წელს გადის, დისკვალიფიკაციის ვადა — კი ერთი წლით ადრე. „ნაპოლის" ხელმძღვანელობა კატეგორიულად მოითხოვს კონტრაქტის დაცვას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დისკვალიფიკაციის შემდეგ მან „ნაპოლიში" უნდა ითამაშოს.

ამ დღეებში მარადონამ განაცხადა, რომ მტკიცედ გადაწყვიტა, არ დაბრუნდეს იტალიაში და ითამაშოს მხოლოდ თავისი ქვეყნის ერთ-ერთ საკლუბო გუნდში.

„ლელო" [illegible]
„ლელოს" [illegible] მორიგეობდა ო. ველაშვილი, კორექტორები: მ. მქამძე, ქ. ქავთარაძე.
[illegible]
ინდექსი INDEX ИНДЕКС 69435
[illegible]